

ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების XVIII კონგრესის კითხვარი

I. ზოგადი ნაწილი: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კატალოგი

I.I ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კატალოგები (ECHR, UDHR and ICCPR)

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ამასთანავე, კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან. დასახელებული მუხლის მე-5 პუნქტი კონკრეტულად განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებების ადგილს შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებთან მიმართებით. ამ დებულების მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვთ უპირატესი ძალა საერთაშორისო შეთანხმებებთან მიმართებით, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, უპირატესი ძალის მქონეა სხვა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან მიმართებით.

საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანახმად, ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლის ხელშემკვრელი სახელმწიფოცაა საქართველო, ხდება შიდა კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი, ნორმატიული შინაარსის მქონე აქტი და აქვს რესურსი მოაწესრიგოს ესა თუ ის სამართლებრივი ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენება, როგორც პრინციპი, რაიმე დამატებით მექანიზმებს არ საჭიროებს და პირდაპირ მოქმედი სამართლის ნაწილად განიხილება. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, იგი საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონით, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა სხვა ნორმატიული აქტი, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებები. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 39-ე მუხლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც მასში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება შესაძლებელს ხდიდა საკონსტიტუციო სასამართლოს შეეფასებინა ნორმატიული აქტის შესაბამისობა იმ უფლებასთან მიმართებით, რომელიც

აღიარებული იყო საერთაშორისო აქტებით თუმცა პირდაპირ არ იყო მითითებული კონსტიტუციაში. საქართველოს დღეს მოქმედი კონსტიტუცია ამგვარ დათქმას აღარ შეიცავს და შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს ვალდებულება საკუთარი გადაწყვეტილებები დააყრდნოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, თუმცა ამა თუ იმ კონსტიტუციური უფლების განმარტებისას შესაძლოა გამოიყენოს (რასაც იგი ახორციელებს კიდევ) საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა და საერთაშორისო ხელშეკრულებები.

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო ხელშეკრულებები განიხილება შიდა კანონმდებლობის ნაწილად და საერთო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილებების მიღებისას სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ საერთაშორისო დოკუმენტებს აქვთ პირდაპირი მოქმედების ეფექტი. ამგვარ მექანიზმად შესაძლოა განვიხილოთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, ისევე როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების დათქმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც დადგინდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. ამ კუთხით რელევანტურია ხაზი გაესვას საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში¹ დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება, იმ საფუძველით, რომ მოსარჩელის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგინდა კონვენციის მუხლის დარღვევა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი პირდაპირ მიუთითებდა, რომ აღნიშნული საფუძველით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის გამო) არ შეიძლებოდა მომხდარიყო საქმის წარმოების განახლება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკუთარი არგუმენტაცია დააყრდნო საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებულ ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და მიუთითა, რომ მიუხედავად კოდექსში არსებული პირდაპირი აკრძალვისა, საერთაშორისო აქტების საფუძველზე უნდა მომხდარიყო საქმის წარმოების განახლება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე ბ-1504-8(ა-18)

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი საერთაშორისო აქტების პირდაპირი მოქმედების ეფექტს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ის ამოწმებს ნორმატიული აქტების, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელმძღვანელობს მხოლოდ კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებს ამ მხრივ არ აქვთ პირდაპირი მოქმედების ეფექტი.

I.II სუბრანაციონალური ადამიანის უფლებათა კატალოგი (ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია)

საქართველო არ არის ევროპული კავშირის წევრი ქვეყანა და შიდა სასამართლოები გადაწყვეტილების მიღებისას არ ხელმძღვანელობენ ევროპული კავშირის სამართლით.

I.III შიდასახელმწიფოებრივი ადამიანის უფლებათა კატალოგი

- საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დაცულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით. ხსენებული თავი შედგება 27 მუხლისაგან (მე-9 მუხლიდან 35-ე მუხლის ჩათვლით) და მოიცავს საერთაშორისოდ აღიარებულ ყველა უფლებასა და ძირითად თავისუფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი იწყება ადამიანის ღირსების უფლებით (მე-9 მუხლი) და სრულდება საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებისა და ძირითადი კომპეტენციის განსაზღვრით (35-ე მუხლი).

- საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 თავი ეთმობოდა მოქალაქის ძირითად უფლებებს. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში აღიარებული იყო ისეთი ძირითადი უფლებები, როგორებიცაა კანონის წინაშე თანასწორობა, „ჰაბეას კორპუსის“ (habeas corpus) პრინციპები, შეკრებისა და გამოხატვის უფლება, საყოველთაო საარჩევნო უფლების დაცვა (ქალთა და მამაკაცთა საარჩევნო თანასწორობა) და სხვა უფლებები, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველია. აღნიშნული კონსტიტუცია მოქმედებდა მხოლოდ 4 დღის განმავლობაში და მისი მოქმედება შეწყდა 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციის შედეგად. საბჭოთა ოკუპაციის პირობებში საქართველოში მიღებულ იქნა ოთხი კონსტიტუცია 1922, 1927, 1937 და 1978 წლებში. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა საქართველოს დღეს მოქმედი კონსტიტუცია. 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულის თანახმად, იგი დაფუძნებულია 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე. დღეს მოქმედი კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული ადამიანის უფლებები ჩამოყალიბებულია 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე და საერთაშორისო პრინციპებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

- 1995 წლიდან დღემდე საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში (ადამიანის ძირითადი უფლებები) განხორციელდა რიგი ცვლილებები, თუმცა ყველაზე მასშტაბური ცვლილება შევიდა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე. დასახელებული ცვლილებებით შეიცვალა რიგი ძირითადი უფლებათა დამდგენი დებულების ფორმულირება, მათი შეზღუდვის საფუძველები, გაფართოვდა კონსტიტუციური უფლების ფარგლები და დაემატა ახალი კონსტიტუციური უფლებები. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი): განხორციელებული ცვლილებების შედეგად თანასწორობის ზოგადი უფლების პარალელურად დადგინდა ქალთა და მამაკაცთა სპეციალური თანასწორობის უფლება, რომლის შესაბამისადაც „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“ ამასთანავე, განისაზღვრა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება შექმნას განსაკუთრებული პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის. დასახელებული ცვლილების შედეგად აღიარებულ იქნა ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი), სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი), აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია (საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი), ასევე მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე. რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურულ ასპექტებს, აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლით. დასახელებული მუხლის თანახმად, კონსტიტუცია გადასინჯება კონსტიტუციური კანონით, რომლის პროექტის წარდგენის უფლებაც აქვთ პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს ან არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს. კონსტიტუციური კანონის პროექტი წარედგინება პარლამენტს და ქვეყნდება საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, ხოლო პარლამენტში მისი განხილვა იწყება გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ითვლება თუ: ა) მას მხარს დაუჭირს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა მომდევნო მოწვევის პარლამენტის მიერ ერთი მოსმენით განხილვიდან და სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მიერ მისი უცვლელად დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში და ბ) კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა თუ მას მხარს დაუჭირს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი. საგანგებო ან

საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა შეჩერდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე.

I.IV ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ სხვადასხვა კატალოგებს შორის ურთიერთმიმართება

- როგორც აღინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებებს აფუძნებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას და არ აქვს ვალდებულება პირდაპირ გამოიყენოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ან საერთაშორისო სასამართლოთა პრაქტიკა. ამის მიუხედავად, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სასამართლოთა პრაქტიკის გამოყენება შესაძლებელია ძირითადი უფლებათა განმარტებისათვის, მათი ფარგლებისა და შინაარსის განსაზღვრისას. ამ მხრივ, ხშირია შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებებში მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებზე თუ სხვადასხვა საერთაშორისო აქტებზე. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში,² რომელიც შეეხებოდა სასჯელის შემამსუბუქებელი კანონის წარსულ ურთიერთობებზე უკუძალით გავრცელების საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-7 მუხლზე, რომლითაც მოწესრიგებულია ანალოგიური საკითხი და ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე „სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ“. ანალოგიურად, საკონსტიტუციო სასამართლომ დანაშაულის გზით მოპოვებულ ქონებაზე ყადაღის დადების წესის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებისას საკუთარ გადაწყვეტილებაში³ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებზე ქონებისათვის ყადაღის დადებასთან დაკავშირებით და სხვადასხვა საერთაშორისო აქტებზე: „კორუფციის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია, „ორგანიზებული დანაშაულის შესახებ“ კონვენცია, გაეროს კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, ევროპის საბჭოს საერთაშორისო კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ და „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“, ევროპის კავშირის 2014 წლის 3 აპრილის EU/2014/42 დირექტივის მე-5 მუხლი. კიდევ ერთ საქმეში⁴, რომელიც შეეხებოდა ჰომოსექსუალი პირების მიერ სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის უფლების უვადო შეზღუდვას, საკონსტიტუციო სასამართლომ განჩინების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის N1/13/878 განჩინება

გადაწყვეტილებაზე⁵, რომელიც შეეხებოდა სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის უფლების სრულყოფილი რეალიზაციის სტანდარტებს. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებებში ხშირად მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა თუ სასამართლოთა პრაქტიკაზე.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საერთაშორისო აქტებსა და სასამართლოთა პრაქტიკას, როგორც წესი, იყენებს კონსტიტუციურ უფლებათა განმარტებისას და შინაარსის განსაზღვრისას, თუმცა პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო იმსჯელებდა ადამიანის ძირითად უფლებათა განმსაზღვრელ სხვადასხვა აქტებს შორის ურთიერთმიმართების, კონკურენციის ან იერარქიულობის საკითხებზე.

- საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საკითხზე არ უმსჯელია და, შესაბამისად, ჩამოყალიბებული არაა რაიმე ამგვარი პროცედურა.

II. კერძო ნაწილი - არჩეულ ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები

II.I სიცოცხლის უფლება

- სიცოცხლის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლით (სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება). დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.“

- საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლი არ ჩამოთვლის იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც შესაძლოა მოხდეს სიცოცხლის უფლების შეზღუდვა. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებულ უფლებასთან მიმართებით ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, რომელშიც განმარტებული იქნებოდა მასში ჩარევის საფუძვლები და ზოგადი სტანდარტები.

- როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით და ამ მხრივ, სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ მწირია. ერთ-ერთ საქმეზე⁶ მოსარჩელე იურიდიული პირი მიუთითებდა, რომ საქართველოში არ არსებობდა თამბაქოს მოხმარებაზე ადეკვატური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, რაც იწვევდა მწვევლთა სიკვდილიანობის ზრდას. აღნიშნული კი ეწინააღმდეგებოდა სიცოცხლის უფლებას. ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის სუბიექტუნარიანობაზე და აღნიშნა, რომ კონსტიტუციის ხსენებული მუხლით დაცული იყო ადამიანის სიცოცხლე, სიცოცხლე კი იმგვარი სიკეთეა რომელიც შეიძლება

⁵ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის C-528/13 გადაწყვეტილება საქმეზე: „Geoffrey Léger v Ministre des Affaires sociales, de la Santé et des Droits des femmes, Établissement français du sang“

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის N2/3/441 განჩინება

გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას და იურიდიული პირი ვერ იქნება ამ უფლების სუბიექტი. კიდევ ერთ საქმეზე⁷, მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის იმ ნორმების კონსტიტუციურობას, რომლებიც გამორიცხავენ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირთა უფლებას დარეგისტრირდნენ სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მოითხოვონ საარსებო შემწეობა, მათ შორის, სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით. დასახელებული საქმე ჯერ კიდევ მიმდინარეა და საკონსტიტუციო სასამართლოს არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. გარდა დასახელებული საქმეებისა, საკონსტიტუციო სასამართლოს უფრო ფართოდ არ უმსჯელია სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით.

შეჯამება:

- საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სიცოცხლის უფლების სუბიექტი არის მხოლოდ ფიზიკური პირი და იგი ვერ გავრცელდება იურიდიულ პირებზე;

- სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციისა და საარსებო შემწეობის მიღების უფლების შეზღუდვას აქვს მიმართება სიცოცხლის უფლებასთან.

- რამდენადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლებების განმარტებისას ეყრდნობა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ საერთაშორისო აქტებსა და სასამართლოთა პრაქტიკას, არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკას შორის.

II.II გამოხატვის თავისუფლება

- გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით (აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები). დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.“ ამავ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.“, ხოლო მე-3 პუნქტი მიუთითებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით გამოხატვის თავისუფლება არაა აბსოლუტური და მისი შეზღუდვა შეიძლება თავად ამ უფლების განმსაზღვრელ კონსტიტუციურ დებულებაში ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები ამომწურავადაა ჩამოთვლილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში, რომლის თანახმადაც „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის N1/6/854 საოქმო ჩანაწერი

უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას მოწმდება:

- შეზღუდვა ემსახურება თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილ ერთ-ერთ ან რამდენიმე მიზნის მიღწევას;

- დაცულია თუ არა პროპორციულობა ინდივიდის უფლებასა და საჯარო ინტერესებს შორის;

- არის თუ არა კონკრეტული უფლებაშემზღუდველი რეგულირება მიზნის პროპორციული, ვიწროდმიმართული და ნაკლებად შემზღუდველი საშუალება;

- აღემატება თუ არა გამოხატვის შეზღუდვის შედეგად დაცული სიკეთე შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, გამოხატვის თავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საზოგადოებისათვის და სწორედ იგი განსაზღვრავს ქვეყნის თავისუფლებისა და დემოკრატიულობის ხარისხს. „გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას.“⁸ აღნიშნული უფლებით დაცულია პირის შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი ან თავი შეიკავოს მისი გამოხატვისაგან, ამ კუთხით საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ადამიანის დევნას აზრის გამო, ასევე მის იძულებას, რომ გამოთქვას აზრი. ამასთანავე, აღნიშნული უფლებით დაცულია აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესი, მისი შინაარსი და ფორმები.⁹ დასახელებული უფლებით დაცულია აზრის გამოხატვა და ინფორმაციის მიღება-გავრცელება სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, ბეჭდვითი მედიის, სამაუწყებლო საშუალებების - რადიომაუწყებლობის და ტელემაუწყებლობის მეშვეობით.¹⁰ რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლების დაცულ სფეროს მის შინაარსთან მიმართებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, იგი მოიცავს არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ და „იდებებს“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ასევე ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს.¹¹ „დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადაწყვეტილება

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება

კონსტიტუციით დაცულია კრიტიკული აზრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც საზოგადოების ნაწილი შეიძლება ზედმეტად მკაცრად ან არაადეკვატურად აღიქვამდეს. ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა, მათ შორის, ზოგადად ხელისუფლების, მისი კონკრეტული წევრის ან მმართველობის ფორმის შეცვლის მოთხოვნა ვერ გახდება გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის საფუძველი.¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკის თანახმად¹³, გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირება ამ უფლებაში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა და წარმოადგენს იმგვარ საკითხს, რომლის თითოეული ასპექტის განსაზღვრა მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. შესაბამისად, ამგვარი რეგულაცია უნდა მიიღოს მხოლოდ საქართველოს პარლამენტმა და ამ უფლებამოსილების დელეგირება სხვა რომელიმე ორგანოსათვის საფუძველშივე, პრინციპულად არასწორია. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირების უფლებამოსილების დელეგირება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

შეჯამება:

- გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველი და ყველა სხვა უფლებით სრულყოფილად სარგებლობის წინაპირობაა;
- დასახელებული დებულებით დაცულია სამი ძირითადი უფლებრივი კომპონენტი: ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება;
- ხსენებული უფლება იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს;
- სახელმწიფოს ევალება ხელი არ შეუშალოს პირს, მიიღოს ინფორმაცია, გამოთქვას თავისი მოსაზრება, აგრეთვე არ შეზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის დაწესებით;
- გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ საზოგადოებისათვის მისაღებ ინფორმაციასა და იდეებს, არამედ ასევე ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ამ უფლებით ასევე დაცულია ნებისმიერი კრიტიკული აზრი და მისი გამოხატვა;
- ამ უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად;
- გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი შინაარსობრივი რეგულირება და იმის განსაზღვრა თუ რომელი ინფორმაციის/აზრის გავრცელების შეზღუდვა არის გამართლებული უნდა მოხდეს მხოლოდ უმაღლესი

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/7/1275 გადაწყვეტილება

წარმომადგენლობითი ორგანოს - პარლამენტის მიერ და ამ უფლებამოსილების დელეგირება დაუშვებელია.

- რამდენადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლებების განმარტებისას ეყრდნობა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ საერთაშორისო აქტებსა და სასამართლოთა პრაქტიკას, არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკას შორის.

II.III პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები

- პირადი ცხოვრების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით. დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია, ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა.

- პირადი ცხოვრების უფლება არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდა დასაშვებია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლში ჩამოთვლილი კონკრეტული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება შესაძლოა შეიზღუდოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. რაც შეეხება, ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის შეზღუდვას, აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

- პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების შინაარსი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით

1. პირადი ცხოვრების უფლების შინაარსი:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული პირადი ცხოვრების

უფლება ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების უმთავრესი საფუძველია და მჭიდროდაა დაკავშირებული დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებულ ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების კონცეფციებთან.¹⁴ პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო, პრივატული სფეროს არსებობას, პირის უფლებას, სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან, ასევე ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, მოახდინოს ინფორმაციისა თუ მოსაზრებების გაცვლა-გაზიარება მათთან.¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას გააჩნია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტები: „ერთი მხრივ, არსებობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების უფულებელყოფას, აღკვეთას. მეორე მხრივ, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს კონსტიტუციის დასახელებული მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა, მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან.“¹⁶

2. ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა

რაც შეეხება ამავე მუხლით დაცულ ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „უდავოა, რომ პირის... პირადი ცხოვრება მოიცავს კავშირსა და ურთიერთობებს ოჯახის წევრებთან და მის „ახლო წრესთან“. ოჯახური ცხოვრება გულისხმობს ქორწინების ან ფაქტობრივი თანაცხოვრების შედეგად მეუღლეებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, ადამიანის უფლებას განავითაროს კავშირები ოჯახის წევრებთან და ბიოლოგიურ ნათესავებთან.“¹⁷ ამგვარად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით ოჯახური ცხოვრება გულისხმობს პირთა ცალკეულ წრესთან დამყარებულ კერძო ურთიერთობებს და მოიცავს განსაკუთრებით „ახლო წრეში“ არსებულ კავშირებს, რომლებიც ძლიერი ემოციური ან/და ბიოლოგიური კავშირით ხასიათდება. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუცია სახელდებით გამოყოფს ოჯახური ცხოვრების უფლებას როგორც პირის პირადი ცხოვრების განსაკუთრებულ უფლებრივ კომპონენტს, რომლის დაცვის მნიშვნელობა სცდება მკაცრად ინდივიდუალურ ჩარჩოებს და ეხება როგორც ამგვარი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს, ასევე მთლიანად საზოგადოებას და იკავებს მნიშვნელოვან ადგილს კონსტიტუციურ

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება

ღირებულებათა სისტემაში.¹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი საქმის ფარგლებში¹⁹ მოუწია ემსჯელა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის სტანდარტებთან მიმართებით. ხსენებულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა პატიმრობაში მყოფ პირთა ნაწილის მიმართ ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის შეზღუდვა. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პირისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა კანონის საფუძველზე ქმნის განსაკუთრებულ სამართლებრივ რეალობას, რომელიც გავლენას ახდენს ამ უკანასკნელის მიერ იმ ძირითადი უფლებებით სარგებლობის ხარისხზე, რომელთა სრულყოფილი რეალიზაცია გარდაუვლად დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებასთან. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ოჯახური ცხოვრების უფლება განეკუთვნება იმ ძირითად უფლებათა კატეგორიას, რომელთა დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტი განსხვავებულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირების მიმართ. მსჯავრდებულს აქვს *prima facie* უფლება, დაამყაროს და შეინარჩუნოს ოჯახური ურთიერთობები, კავშირი ჰქონდეს საკუთარი ოჯახის წევრებთან პირადად თუ კომუნიკაციის დისტანციური საშუალებებით. ამავდროულად, ოჯახის წევრებთან კავშირს ვერ ექნება მუდმივი, უწყვეტი ხასიათი, ისევე როგორც კომუნიკაციის პროცესი ვერ დაექვემდებარება პრივატულობის ისეთ ხარისხს, როგორც ეს შესაძლებელია იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც არ არიან მოთავსებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, საქართველოს კონსტიტუციით დაცული არაა თავისუფლებააღკვეთილი პირის შესაძლებლობა, შეუზღუდავი კავშირი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, თუმცა თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენება ასევე არ გულისხმობს პირის აბსოლუტურ იზოლირებას და მისთვის ოჯახის წევრებთან კონტაქტის სრულ აკრძალვას. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების კონსტიტუციური უფლება ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ გარკვეული ხარისხით მაინც უზრუნველყოს პირის შესაძლებლობა, იქონიოს კონტაქტი ოჯახის წევრებთან. კანონის საფუძველზე თავისუფლებააღკვეთილი პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების ძირითადი უფლებით დაცული სფერო მოიცავს პირის შესაძლებლობას, იმ ხარისხით და ინტენსივობით შეინარჩუნოს კავშირი ოჯახის წევრებთან, რაც თავსებადი იქნება თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების ბუნებასთან და აღნიშნული ღონისძიების გამოყენების ლეგიტიმურ მიზნებთან.

3. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში პირები უზრუნველყოფილი არიან ფიზიკური

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/1/704 გადაწყვეტილება

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/1/704 გადაწყვეტილება

და მორალური ხელშეუხებლობის, სახელის, პირადი მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახისა და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების, მიმოწერის და სატელეფონო საუბრის საიდუმლოების ხელშეუხებლობის უფლებებით.²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „პირადი ცხოვრებით დაცულია პირების კერძო სფერო (სივრცე). აქ იგულისხმება როგორც კონკრეტული ტერიტორია, ადგილი (მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, პირადი ავტომანქანა ან სხვა პირადი მფლობელობა), ისე განსაზღვრულ პირთა წრე, ვისთანაც პირს სურს კომუნიკაცია, ვისაც ის ირჩევს კონკრეტული ურთიერთობისათვის, ასევე საკითხები, რომელთა ანონიმურობა და ხელშეუხებლობა ან პირთა მხოლოდ კონკრეტულ წრეში განსაჯაროებაც სურს პირს. კერძო, პირად სივრცეს (სფეროს) ადამიანი თავად ქმნის და აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ შერჩეულ, სასურველ ან მისთვის საჭირო საკითხებზე კომუნიკაცია მიუწვდომელი, ანონიმური, ხელშეუხებელი დარჩება ყველა იმ პირისათვის, რომელიც მან საკუთარი პირადი სივრცის მიღმა დატოვა.“²¹ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტის და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით განხორციელებული კომუნიკაცია. ამასთანავე, მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით განსაზღვრული პროცედურისა და სტანდარტების დაცვითაა შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის ან/და პირადი ნივთების შემოწმება, ჩხრეკის ჩატარება ან პირის ნების საწინააღმდეგოდ მის საკუთრებაში ან მფლობელობაში შესვლა. აღნიშნული პროცედურა კი მოითხოვს ან სასამართლოს წინასწარ ნებართვას ჩხრეკის ჩატარებისა და პირად კომუნიკაციაში ჩარევისათვის (ex ante სასამართლო კონტროლი) ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისა, რა დროსაც 24 საათის განმავლობაში ეცნობება სასამართლოს, რომელმაც უნდა დაადასტუროს განხორციელებული ღონისძიების კანონიერება (ex post facto სასამართლო კონტროლი). საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი არ იძლევა პირის ჩხრეკის ან პირად კომუნიკაციაში ჩარევის სხვა შესაძლებლობას, გარდა დასახელებული პროცედურისა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ საქმეზე²² მოუწია ემსჯელა თუ რა იყო პირის ჩხრეკისას სასამართლო კონტროლის არსი და რა მიზანს ემსახურებოდა იგი, ასევე დასაშვები იყო თუ არა სასამართლოს როგორც წინარე, ისე შემდგომი კონტროლის გარეშე მომხდარიყო პირის ჩხრეკა. ხსენებულ შემთხვევაში, სადავო იყო ის ნორმა, რომელიც, რიგ შემთხვევებში, ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრულ შემოწმებას გაშიშვლების ფორმით. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ეს პროცედურა ხდებოდა საქართველოს კონსტიტუციით

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება

²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება

დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, რამდენადაც არ არსებობდა სასამართლო კონტროლი, რაც პირად ცხოვრებაში ამ ინტენსივობით ჩარევისას საქართველოს კონსტიტუციის უპირობო მოთხოვნაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, პენიტენციურ დაწესებულებაში განსხვავებულია პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობის ფარგლები, ასევე მისი დაცულობის მოლოდინი და დაცვის გარანტიები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევისას სასამართლო კონტროლის მიზანია ნეიტრალური პირის მიერ შეფასდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონის სწორად გამოყენება და ასევე შემოწმდეს არსებობდა თუ არა ამ უფლებაში ჩარევის აუცილებლობა. სასამართლომ კონტროლი უნდა გაუწიოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მიერ მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებას, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი ბოროტად ან არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევები. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს მხრიდან ამგვარი კონტროლის განხორციელების აუცილებლობა არ არსებობს მაშინ, როდესაც კონკრეტულ ურთიერთობასთან მიმართებით ყველა შემთხვევაში არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის საჭიროება და სასამართლოს არ უწევს რაიმე ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებების შეფასება. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, მიუხედავად კონსტიტუციაში მითითებული სასამართლო კონტროლის განხორციელების აუცილებლობისა, იმგვარ ურთიერთობებთან მიმართებით, როდესაც ყოველთვის დასაბუთებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვა, სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ ფორმალურ, ბიუროკრატიულ დადასტურებად მოგვევლინება, რომელიც ფაქტობრივი რეალობის გათვალისწინებით, თითოეულ შემთხვევაში მიიღებდა დადებით გადაწყვეტილებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის მოთხოვნის შესახებ.

შეჯამება:

- საქართველოს კონსტიტუციით დაცული პირადი ცხოვრების უფლება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო, პრივატული სფეროს არსებობას, პირის უფლებას, სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან, ასევე ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან.

- აღნიშნული მუხლი სახელმწიფოს უდგენს ვალდებულებას, ერთი მხრივ, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, ხოლო მეორე მხრივ, არ ჩაერიოს დასახელებული მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა, მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან.

- ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება მოიცავს კავშირსა და ურთიერთობებს ოჯახის წევრებთან და მის „ახლო წრესთან“. ოჯახური ცხოვრება გულისხმობს ქორწინების ან ფაქტობრივი თანაცხოვრების შედეგად შეუღლებულ შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, ადამიანის უფლებას განავითაროს კავშირები ოჯახის წევრებთან და ბიოლოგიურ ნათესავებთან.

- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ პირს აქვს *prima facie* უფლება, დაამყაროს და შეინარჩუნოს ოჯახური ურთიერთობები, კავშირი ჰქონდეს საკუთარი ოჯახის წევრებთან პირადად თუ კომუნიკაციის დისტანციური საშუალებებით, თუმცა ოჯახის წევრებთან კავშირს ვერ ექნება მუდმივი, უწყვეტი ხასიათი. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუცია არ იცავს თავისუფლებააღკვეთილი პირის შესაძლებლობა, შეუზღუდავი კავშირი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, თუმცა თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენება ასევე არ გულისხმობს პირის აბსოლუტურ იზოლირებას და მისთვის ოჯახის წევრებთან კონტაქტის სრულ აკრძალვას.

- კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტის და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით განხორციელებული კომუნიკაცია. ამასთანავე, მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით განსაზღვრული პროცედურისა და სტანდარტების დაცვითაა შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის ან/და პირადი ნივთების შემოწმება, ჩხრეკის ჩატარება ან პირის ნების საწინააღმდეგოდ მის საკუთრებაში ან მფლობელობაში შესვლა.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პირის ჩხრეკისას არ არსებობს სასამართლო კონტროლის განხორციელების აუცილებლობა, მაშინ როდესაც კონკრეტულ ურთიერთობასთან მიმართებით ყველა შემთხვევაში არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის საჭიროება და სასამართლოს არ უწევს რაიმე ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებების შეფასება.

- რამდენადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლებების განმარტებისას ეყრდნობა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ საერთაშორისო აქტებსა და სასამართლოთა პრაქტიკას, არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება პირადი ცხოვრების უფლებასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკას შორის.

II.IV რელიგიის თავისუფლება

- საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები. დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. ხოლო მე-3 პუნქტი ადგენს, რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა

რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

- საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, რწმენის თავისუფლება ადამიანის თვითგამორკვევის საწყისი და საფუძველია და მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოში პლურალისტული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. იგი გულისხმობს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, დამოუკიდებლად, თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი თუ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით განვითარების მიმართულებები, პრიორიტეტები, ჩამოყალიბდეს მათ შესაბამისად, საზოგადოებაში იცხოვროს ინდივიდუალური თვითრეალიზაციის შესაძლებლობით და ამ განცდით იპოვოს საკუთარი თავი. ამ თვალსაზრისით, რწმენის თავისუფლება არის ადამიანის მოსაზრებების, გრძნობების და მათ შესაბამისად ცხოვრების საფუძველი. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, რწმენის თავისუფლების შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, არარეალურია მისი ფარგლების ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრა, რწმენის თავისუფლებით დაცული სფეროს დიაპაზონის კონკრეტულად იდენტიფიცირება, ყველა იმ მოსაზრების, განცდის, ამა თუ იმ შინაარსის მრწამსის დასახელება, რომლებიც დაცულია რწმენის თავისუფლებით. ისევე, როგორც შეუძლებელია მკვეთრი და ხელშესახები კრიტერიუმების ამომწურავად ჩამოთვლა, რომლებზე დაყრდნობითაც უტყუარად მოხდება საკითხების რწმენის თავისუფლებით დაცულ და მის ფარგლებს გარეთ დარჩენილ საკითხებად გამიჯვნა. ამ უფლებით დაცულია, ერთი მხრივ, ამა თუ იმ რწმენის ქონა, ხოლო მეორე მხრივ, მისი გამოხატვა, რწმენის შესაბამისად საკუთარი ცხოვრების წარმართვის უფლება(მოქმედების სფერო). ამასთანავე, რწმენის თავისუფლება თავისი ყველაზე საწყისი გაგებით, გულისხმობს, სახელმწიფოსგან ჩარევის გარეშე, ამა თუ იმ რწმენის გაზიარებას, არჩევას, საკუთარი თავის მისდამი მიკუთვნებას (პოზიტიური თავისუფლება), ან უარყოფას, შეცვლას (ნეგატიური თავისუფლება), ანუ ადამიანის აზროვნების შინაგანი სფეროს დაცვას. ამ დონეზე რწმენის თავისუფლების დარღვევა სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება გამოიხატოს ადამიანზე იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური და მორალური ზემოქმედებით, დაშინებით, იძულებით უარი თქვას კონკრეტულ რწმენაზე, შეიცვალოს ის (და გაიზიაროს რომელიმე სხვა რწმენა). საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, რწმენის თავისუფლება მოიცავს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ რწმენებს და შესაბამისად, არ წარმოადგენს მხოლოდ რელიგიის თავისუფლების იდენტურ ცნებას.²³

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ რწმენის თავისუფლებით დაცულია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება. „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ წარმოშობის საფუძველია ადამიანის რწმენა, რომელიც მას უკრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. შესაბამისად, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირები, როგორც წესი, უარყოფენ იარაღით ხელში სამსახურს ომისა და მშვიდობის დროს, რადგან ომი გარდაუვლად გულისხმობს ძალის გამოყენებას, ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. ხოლო სამხედრო სამსახური ემსახურება რა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, პოტენციურად თავდაცვითი ომისთვის მზადებასაც ნიშნავს. მაშასადამე, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა გულისხმობს არა მხოლოდ საომარ მოქმედებებზე, არამედ მშვიდობიანობის პერიოდში სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმასაც. აღსანიშნავია, რომ რწმენა და შეხედულებები, რომელიც წარმოადგენს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძველს, თავისი შინაარსით, არ არის აუცილებელი იყოს რელიგიური ხასიათის და ამ უფლებით დაცულია, მათ შორის, პაციფისტური რწმენა.

შეჯამება:

- რწმენის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, დამოუკიდებლად, თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი თუ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით განვითარების მიმართულებები, პრიორიტეტები, ჩამოყალიბდეს მათ შესაბამისად, საზოგადოებაში იცხოვროს ინდივიდუალური თვითრეალიზაციის შესაძლებლობით და ამ განცდით იპოვოს საკუთარი თავი.

- რწმენის თავისუფლებით დაცულია როგორც ამა თუ იმ რწმენის ქონა, ისე მისი გამოხატვა, რწმენის შესაბამისად საკუთარი ცხოვრების წარმართვის უფლება(მოქმედების სფერო).

- ეს უფლება იცავს ამა თუ იმ რწმენის გაზიარებას, არჩევას, საკუთარი თავის მისდამი მიკუთვნებას (პოზიტიური თავისუფლება), ან უარყოფას, შეცვლას (ნეგატიური თავისუფლება).

- რწმენის თავისუფლება მოიცავს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ რწმენებს და არ არის რელიგიის თავისუფლების იდენტური ცნება.

- რწმენის თავისუფლებით დაცულია, მათ შორის, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება.

- რამდენადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლებების განმარტებისას ეყრდნობა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ საერთაშორისო აქტებსა და სასამართლოთა პრაქტიკას, არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება რწმენის თავისუფლებასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკას შორის.

II.V დისკრიმინაციის აკრძალვა

- საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით დაცულია თანასწორობის უფლება. დასახელებული მუხლის პირველი პუნქტი ადგენს დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას „კრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს საქართველოს მოქალაქეთა დისკრიმინაციას კონკრეტული ნიშნების, კერძოდ, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილების საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უფლებას: „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით თანასწორობის უფლება არაა აბსოლუტური თუმცა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი არ ითვალისწინებს თანასწორობის უფლების შეზღუდვის რაიმე კონკრეტულ საფუძველს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თანასწორობის უფლება შესაძლოა შეიზღუდოს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნების მისაღწევად, რაც სხვადასხვა შეიძლება იყოს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობისა და შეზღუდვის ხასიათიდან გამომდინარე.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ეს ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს. ამასთანავე, „კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ეს ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.²⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, არსებითად თანასწორ პირთა ყოველგვარი დიფერენცირება არ გულისხმობს დისკრიმინაციას, აღნიშნული კონსტიტუციური უფლება არ ავალდებულებს სახელმწიფოს, ნებისმიერ შემთხვევაში სრულად გაათანაბროს არსებითად თანასწორი პირები. იგი უშვებს გარკვეული დიფერენცირების შესაძლებლობას, ვინაიდან ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისად მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, შესაძლოა დიფერენცირებული მოპყრობა საჭირო და გარდაუვალიც კი იყოს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისგან მიჯნავს დისკრიმინაციულ

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება

დიფერენციაციას და ობიექტური ნიშნებით განპირობებულ დიფერენციაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანასწორობის კონსტიტუციური უფლება კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ (ან პირიქით) გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე მოპყრობის ნებისმიერ შემთხვევას. თანასწორობის უფლებაში ჩარევა იქნება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხდება არსებითად თანასწორ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა ან არსებითად უთანასწოროთა მიმართ თანაბარი მოპყრობა. რაც შეეხება პირთა არსებითად თანასწორობის საკითხს, აღნიშნული ფასდება არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით.²⁵ იმ შემთხვევაში როდესაც დადგინდება თანასწორობის უფლებაში ჩარევა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დისკრიმინაციის დადგენისათვის იყენებს ორი სახის ტესტს: მკაცრი და რაციონალური. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით მკაცრი ტესტის გამოყენების წინაპირობებია 1) დიფერენცირების ნიშანი და 2) დიფერენცირების ინტენსივობა. დასახელებული ტესტი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ პირთა შორის განსხვავებული მოპყრობა ხდება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლში სახელდებით მითითებული რომელიმე ნიშნის (მაგალითად, სქესი, კანის ფერი, რასა, რელიგია და სხვა) საფუძველზე (ე.წ. „კლასიკური ნიშანი“) ან როდესაც, მართალია, განსხვავებული მოპყრობა არ ეფუძნება კლასიკურ ნიშანს, თუმცა არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირება მაღალი ინტენსივობისაა. დიფერენცირების ინტენსივობით დადგენისას კი უნდა განისაზღვროს არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში იმყოფებიან, დიფერენცირება რამდენად მკვეთრად დააცილებს ამ უკანასკნელთ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებიდან.²⁶ მკაცრი ტესტის გამოყენება გულისხმობს თანასწორ პირებს შორის დადგენილი განსხვავებული მოწესრიგების მართლზომიერების შეფასებას თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით ანუ უნდა დადგინდეს დიფერენცირება ემსახურება თუ არა ღირებულ ლეგიტიმურ მიზნებს და წარმოადგენს თუ არა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ვარგის (გამოსადეგ), აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას. ისეთ შემთხვევაში, როდესაც დიფერენცირება არ ეფუძნება კლასიკურ ნიშნავს და მისი ინტენსივობა არაა მაღალი, საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების ტესტს, რომლის ფარგლებშიც საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდუვალობა ან საჭიროება, რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის.²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან დასახელებულ უფლებასთან

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება

მიმართებით, საინტერესოა ერთ-ერთი საქმე²⁸, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა მისი, როგორც ნეგატიური კანონმდებლის უფლებამოსილების ფარგლებზე დისკრიმინაციული მოპყრობის გზის განსაზღვრისას. დასახელებულ საქმეზე მოსარჩელე ითხოვდა ისეთი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც მას უფლებას არ უზღუდავდა და იყო აღმჭურველი ხასიათის სხვა, მისი არსებითად თანასწორი პირების მიმართ. ამასთანავე, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მას არ სურდა ნორმის გაუქმება და ამ პირთათვის მინიჭებული უფლების ჩამორთმევა, არამედ იგი ითხოვდა ყველა არსებითად თანასწორი პირისთვის, მათ შორის, მისთვისაც ანალოგიური სიკეთით სარგებლობის უფლების მინიჭებას. აღნიშნულ მოთხოვნასთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ფართოდ მიმოიხილა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია მხოლოდ კანონმდებლობაში არსებული არაკონსტიტუციური რეგულაციების, წესებისთვის იურიდიული ძალის გაუქმებისა და მათთვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რესურსის გაუქმების უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატს სცდება უფლებამოსილება, ძალადაკარგული სამართლებრივი ნორმების ნაცვლად კანონმდებლობაში დაადგინოს განსხვავებული, თუნდაც კონსტიტუციური წესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მისთვის კონკრეტული უფლების მინიჭების შესახებ, სცდება მის უფლებამოსილებას, რამდენადაც გულისხმობს ნორმისათვის იმ შინაარსის მინიჭებას, რაც მას არ გააჩნია და უფლებით მოსარგებლე პირთა წრის გაფართოვებას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მას თანასწორობის უფლებასთან მიმართებით შეეძლო მხოლოდ უკვე არსებული რომელიმე ნორმატიული შინაარსის ან თავად ნორმის გაუქმება და არა მასში ახალი რეგულაციის შეტანა, რაც კანონმდებლობაში პოზიტიური ჩანაწერის გაკეთების იდენტური იქნებოდა. დასახელებული პრაქტიკით, საკონსტიტუციო სასამართლომ თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, უარი თქვა იმგვარი საშუალებების გამოყენებაზე, როგორცაა მაგალითად reading in (კანადის უზენაესი სასამართლოს მიერ დისკრიმინაციული ნორმის შედეგების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალება), რაც გულისხმობს სადავო ნორმისათვის ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმატიული შინაარსის მინიჭებას.

შეჯამება:

- თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი არ გულისხმობს არსებითად თანასწორ პირთა ყველა შემთხვევაში ტოტალურ გათანაბრებას, მისი მიზანია არ დაუშვას გაუმართლებელი დიფერენცირება არსებითად თანასწორ პირებს შორის ან ერთნაირი მოპყრობა არათანასწორ პირთა მიმართ;

- თანასწორობის უფლება კრძალავს როგორც პირდაპირ ასევე არაპირდაპირ დისკრიმინაციას;

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის N3/6/642 გადაწყვეტილება

- დიფერენცირების შეფასება ხდება ორი ტესტის: მკაცრი და რაციონალური დიფერენცირების ტესტების გამოყენებით;

- მკაცრი ტესტი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ დიფერენცირება ეფუძნება კონსტიტუციაში სახელდებით მითითებულ ნიშანს ან მისი ინტენსივობა მაღალია. მკაცრი ტესტის ფარგლებში ნორმის შემოწმება ხდება თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით;

- ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება რაციონალური დიფერენცირების ტესტი, რაც გულისხმობს რაციონალური, გონივრული კავშირის დასაბუთებას დიფერენცირების მიზანსა და გამოყენებულ საშუალებას შორის;

- საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თანასწორობის უფლებასთან მიმართებით შეუძლია მხოლოდ არსებული ნორმატიული აქტის გაუქმება და არა ახალი, თუნდაც კონსტიტუციის შესაბამისი ნორმატიული რეალობის შექმნა და პოზიტიური ჩანაწერის განხორციელება.

• რამდენადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლებების განმარტებისას ეყრდნობა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ საერთაშორისო აქტებსა და სასამართლოთა პრაქტიკას, არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება თანასწორობის უფლებასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკას შორის.

II.VI თავისუფლების უფლება

• ადამიანის ფიზიკური თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით. დასახელებული მუხლი ფორმულირებულია შემდეგნაირად:

1. ადამიანის თავისუფლება დაცულია.

2. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

5. ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

6. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

• ადამიანის ფიზიკური თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და მისი შეზღუდვა დასაშვებია, თუმცა საქართველოს კონსტიტუცია არ ჩამოთვლის შეზღუდვის კონკრეტულ საფუძვლებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით ამგვარი ლეგიტიმური მიზნები შესაძლოა იყოს, მაგალითად სასამართლო

ავტორიტეტის დაცვა²⁹ და მართლმსაჯულების აღსრულების ინტერესი³⁰. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს განსაზღვრულ პროცედურას პირისათვის თავისუფლების აღკვეთის, დაკავების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვისას, კერძოდ ამგვარი შემთხვევები განსაზღვრული უნდა იყოს კანონით და ამ პროცესში აუცილებელია სასამართლოს ჩართულობა, რომელმაც უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილებას პირისათვის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის შესახებ.

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება